სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი №28

ქ. თბილისი *13.09.2010 წ.*

დღის წესრიგი:

1. ანა ბოჭორიშვილისა და ავთანდილ აბდუშელიშვილისათვის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობის უფლებამოსილების შეწყვეტა.
2. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდებაში ცვლილების შეტანა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის წარდგენა.
3. თსუ-ს აკადემიური საბჭოს №156 დადგენილების (26 დეკემბერი, 2008წ.) დამტკიცების თაობაზე თსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს №17 სხდომის (29 დეკემბერი, 2008წ.) გადაწყვეტილების გაუქმება

სხდომას ესწრებოდა:

აკადემიური საბჭო: 9 წევრით.
წარმომადგენლობითი საბჭო: 29 წევრით.

წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დღის წესრიგი ერთხმად იქნა დამტკიცებული.

1. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა კახაბერ ლორიამ საბჭოს წევრებს აცნობა, რომ ანა ბოჭორიშვილიმა და ავთანდილ აბდუშელიშვილმა დაამთავრეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შესაბამისად მათ აღარ გააჩნიათ სტუდენტის სტატუსი და კანონმდებლობიდან და თსუ-ს წესდებიდან გამომდინარე საჭიროა მათთვის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობის უფლებამოსილების შეწყვეტა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 29

წინააღმდეგი – 0

თავი შეიკავა – 0

მიღებული გადაწყვეტილება:

ანა ბოჭორიშვილსა და ავთანდილ აბდუშელიშვილს შეუწყდეთ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის უფლებამოსილება.

2. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა კახაბერ ლორიამ დამსწრე საზოგადოებას გააცნო თსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის მიერ წარმოდგენილი უნივერსიტეტის წესდებაში შესატანი ცვლილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ფაკულტეტის საბჭოს ფორმირების საკითხს. კანონმდებლობისა და თსუ-ს წესდების მიხედვით ამ ცვლილების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს წარმომადგენლობითი და აკადემიური საბჭოს წევრებმა. თსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტმა, წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა ვასილ გუბაძემ განმარტა წარმოდგენილი პროექტის არსი და ამ ცვლილებისადმი მხარდაჭერის იმედი გამოთქვა. ზემოხსენებულ საკითხზე გაიმართა დისკუსია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა: გია ჟორჟოლიანმა, გიორგი შამათავამ, კობა გელაშვილმა, ზურაბ ფაღავამ, გიორგი გოქსაძემ, რამაზ ქურდაძემ, არნოლდ გეგეჭკორმა. აკადემიური საბჭოს წევრებმა: გუგული მაღრაძემ, ალექსანდრე შენგელაიამ, რევაზ გველესიანმა.

გამოითქვა მოსაზრება, რომ წესდებაში ამ ცვლილების შეტანამ შეიძლება გაართულოს ფაკულტეტის საბჭოს მუშაობა კვორუმის პრობლემასთან დაკავშირებით, ვინაიდან პროფესურის ერთი ნაწილი რეგულარულად არ ესწრებოდა სხდომებს, როდესაც ფავის დროზე ფაკულტეტის საბჭოში ყველა პროფესორი შედიოდა. ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ წარმომადგენლობითი

საბჭოს სპიკერმა კ. ლორიამ აღნიშნა, რომ არაა გამართლებული, ზოგიერთი პროფესორის მხრიდან საკუთარი უფლება-მოვალეობისადმი გულგრილი დამოკიდებულების გამო სტუდენტები დაიჩაგრონ და მათ არ მიეცეთ საშუალება რაოდენობრივი თვალსაზრისით ღირსეულად იყვნენ წარმოდგენილი ფაკულტეტის საბჭოში, შესაბამისად კი ჰქონდეთ მეტი შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის მართვაში.

მსჯელობის დასრულების შემდეგ წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა თსუ-ს წესდებაში შესატანი ცვლილების პროექტი წარმოდგენილი სახით. კენჭისყრაში, კანონდებლობისა და თსუ-ს წესდების შესაბამისად, მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 28

წინააღმდეგი – 1

თავი შეიკავა – 0

მიღებული გადაწყვეტილება:

მიღებულ იქნეს თსუ-ს წესდებაში შესატანი ცვლილების პროექტი წარმოდგენილი სახით და გადაეგზავნოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დასამტკიცებლად.

3.. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა კახაბერ ლორიამ განაცხადა, რომ საჭიროა თსუ-ს წესდებაში ამ სხდომის გადაწყვეტილებით შესული ცვლილების ძალაში შესვლის მომენტიდან გაუქმებულად ჩაითვალოს თსუ-ს აკადემიური საბჭოს №156 დადგენილების (26 დეკემბერი, 2008წ.) დამტკიცების თაობაზე თსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს №17 სხდომის (29 დეკემბერი, 2008წ.) გადაწყვეტილება. ზემოხსენებულის მიზეზად სპიკერმა დაასახელა ის, რომ აკადემიური საბჭოს აღნიშნული დადგენილება ფაკულტეტების საბჭოს ფორმირების პროცედურას იმდაგვარად არეგულირებს, რომ ის

წინააღმდეგობაში მოვა წესდებაში ამ სხდომაზე (№28, 13.09.2010 წ.) მიღებულ ცვლილებასთან

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 28

წინააღმდეგი – 1

თავი შეიკავა – 0

მიღებული გადაწყვეტილება:

თსუ-ს წესდებაში ამ სხდომის (№28, 13.09.2010 წ.) გადაწყვეტილებით განხორციელებული ცვლილების ძალაში შესვლის მომენტიდან გაუქმებულად ჩაითვალოს თსუ-ს აკადემიური საბჭოს №156 დადგენილების (26 დეკემბერი, 2008წ.) დამტკიცების თაობაზე თსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს №17 სხდომის (29 დეკემბერი, 2008წ.) გადაწყვეტილება

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი		**კახაბერ ლორია**
სხდომის მდივანი		**ბექა ბენდელიანი**